

პანდემიის დროს განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები:

ძირითადი მონაცემების ანალიზი და კორუფციის რისკები

საერთაშორისო გამჭვირვალობა
საქართველო

2022 წლის მარტი

ამ პუბლიკაციის გამოცემა შესაძლებელი გახდა „ღია საზოგადოების ფონდისა“ და ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა, არ ასახავდეს დონორების შეხედულებებს.

ღია
საზოგადოების
ფონდი

Norwegian Ministry
of Foreign Affairs

სარჩევი

ძირითადი მიგნებები 4

რეკომენდაციები 5

შესავალი 6

1. გამარტივებული შესყიდვების საფუძველი 7

2. ზოგადი მონაცემები 9

2.1. რის შესყიდვაზე დაიხარჯა ყველაზე მეტი თანხა გამარტივებული შესყიდვებით 9

2.2. რომელმა უწყებებმა დახარჯეს ყველაზე მეტი თანხა გამარტივებული შესყიდვებით 10

2.3. რომელმა მიმწოდებლებმა მიიღეს ყველაზე მეტი თანხა გამარტივებული შესყიდვებით 12

3. კორუფციის რისკები და არასათანადო პრაქტიკა გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებში 13

3.1. მმართველი პარტიის შემომწირველების მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვებში 13

3.2. ახლად დაფუძნებული კომპანიების მიერ მიღებული კონტრაქტები 21

2020 წლის პირველი ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით 1.7 მლრდ ლარამდე ჯამური ღირებულების 21 ათასამდე მსხვილი კონტრაქტი გაფორმდა. „კოვიდ 19“-ით გამოწვეულმა ხარჯმა გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებში დაახლოებით 715 მლნ ლარი შეადგინა. 1.7 მლრდ ლარიდან 1.2 მლრდ ლარი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების და გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით დაიხარჯა.

1.7 მლრდ ლარის გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებიდან, „ქართული ოცნების“ და მის მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის შემომწირველებმა 156 მლნ ლარის კონტრაქტები მიიღეს. 156 მლნ ლარი 210 კომპანიაზე და 11 ფიზიკურ პირზე ნაწილდება. რომლებმაც 2013-2021 წლებში პირდაპირ ან დაკავშირებული პირების მეშვეობით „ქართულ ოცნებას“ ჯამში 14 მლნ ლარზე მეტი შესწირეს, მათ შორის 5 მლნ ლარამდე პანდემიის დაწყების შემდეგ.

უშუალოდ პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯების გარეშე, კერძო კომპანიებთან გაფორმებულ შესყიდვებში, სახელისუფლო პარტიის შემომწირველების მიერ მიღებული კონტრაქტების წილი 17%-მდე იყო.

2020 წლის პირველი ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პირდაპირი შესყიდვის გზით 9 მლნ ლარის კონტრაქტები 192-მა ახლად დაფუძნებულმა (6 თვეზე ნაკლები დრო რეგისტრაციიდან) კომპანიამ მიიღო. მათ შორის, 22 კომპანიას კონტრაქტი დაფუძნებიდან მაქსიმუმ 10 დღეში გაუფორმდა. მაგალითად, კომპანია „დი ჯი ელს“ „მოსავლის მართვის კომპანიამ“ დაფუძნებიდან 6 დღეში გაუფორმა 900,000 ლარის ღირებულების კონტრაქტი.

ახალდაფუძნებულ კომპანიებისთვის კონტრაქტების გაფორმებით ძირითადად ადგილობრივი მუნიციპალიტეტები გამოირჩევიან. ახლად დაფუძნებული კომპანიების სახელმწიფო შესყიდვებში, განსაკუთრებით გამარტივებულ შესყიდვებში მონაწილეობა ზრდის კორუფციის რისკებს და საქონლის ან მომსახურების ხარისხის მიმართ აჩენს კითხვებს.

შესყიდვის ობიექტების მიხედვით გამარტივებული შესყიდვის გზით ყველაზე მეტი თანხა - 486 მლნ ლარი ჯანდაცვის სფეროს მომსახურებებზე დაიხარჯა, რაც ძირითადად „კოვიდ პაციენტების“ მკურნალობას მოიცავს. შემდეგ მოდის სამშენებლო სამუშაოების მომსახურების შეძენა 276 მლნ ლარით. სასტუმროების საკარანტინე სივრცეებად და „კოვიდ სასტუმროებად“ დაქირავებაზე დაახლოებით 152 მლნ ლარი დაიხარჯა.

გამარტივებულ შესყიდვებში ყველაზე მეტი თანხა - 355 მლნ ლარი სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტომ“ დახარჯა. აღნიშნული სააგენტო სამედიცინო დაწესებულებებში „კოვიდ პაციენტების“ მკურნალობაზე აფორმებს კონტრაქტებს.

მიმწოდებლებიდან ყველაზე მეტი თანხა სს „ევექსის ჰოსპიტლებმა“ მიიღო - 44 მლნ ლარი. შემდეგ მოდის შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ – 27 მლნ ლარით.

მსხვილი მიმწოდებლები იყვნენ სახელმწიფო სსიპ-ები, შპს-ები და ა(ა)იპ-ებიც. მათ პანდემიის დროს ჯამში 355 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები მიიღეს.

- კორუფციის ნიშნების შემცველი სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტებით საგამოძიებო უწყებები უფრო მეტად უნდა ინტერესდებოდნენ;

- გამარტივებული შესყიდვის გამოყენებისას, შემსყიდველი ვალდებული უნდა იყოს, დაასაბუთოს და გაასაჯაროოს, თუ რის საფუძველზე შეარჩია მიმწოდებელი;

- შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ახლად დაფუძნებულ, გამოუცდელ კომპანიებთან გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების დადებისგან მაქსიმალურად უნდა შეიკავონ თავი, ან ასეთი გადაწყვეტილებები ჩვეულებრივზე უფრო მაღალი სტანდარტით დაასაბუთონ;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან გამარტივებულ შესყიდვებზე თანხმობის გაცემა მეტად უნდა გამკაცრდეს.

შესავალი

2020 წლიდან პანდემიის გამო სახელმწიფო შესყიდვებში გამარტივებული (პირდაპირი) შესყიდვების წილმა მოიმატა. 2019 წელს გამარტივებული შესყიდვების წილი მთლიან შესყიდვებში 18%-მდე იყო, 2020 წელს კი 21%-მდე გაიზარდა.[1] 2021 წლის დაზუსტებული მონაცემები ამ ეტაპზე ცნობილი არ არის. როდესაც გამარტივებული შესყიდვების წილი იმატებს და ამასთანავე, ის გარკვეულ ფორსმაჟორულ სიტუაციაში, დაჩქარებულად ხორციელდება, შესყიდვებში კორუფციისა და არასათანადო პრაქტიკის რისკები იზრდება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში (2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისამდე) განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კვლევა[2] 2020 წელს გამოაქვეყნა, სადაც როგორც ელექტრონულ ტენდერებთან, ისე გამარტივებულ შესყიდვებთან დაკავშირებული კორუფციული გარემოებები იყო განხილული. 2021 წელს კი ორგანიზაციამ კიდევ ორი კვლევა გამოსცა, რომლებშიც სახელმწიფო შესყიდვების ორ უმსხვილეს სექტორში - ა) სამშენებლო[3] და ბ) სატრანსპორტო[4] საქონლის და მომსახურების შესყიდვების კუთხით 2020-2021 წლებში არსებული ტენდენციები იყო მიმოხილული.

რაც შეეხება წინამდებარე პუბლიკაციას, მასში შეჯამებულია 2020 წლის პირველი ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების ყველა მნიშვნელოვანი საკითხი - როგორც ძირითადი მონაცემები და ტენდენციები, ისე კორუფციული რისკების შემცველი შესყიდვები.

კვლევა მოიცავს გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმებულ იმ კონტრაქტებს, რომელთა ღირებულება 5,000 ლარს აღემატება. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის თანხმად, თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება 5,000 ლარამდეა, შემსყიდველი ვალდებული არ არის ელექტრონული ტენდერით შეიძინოს სასურველი საქონელი ან მომსახურება, შეუძლია გამარტივებული შესყიდვის წესი გამოიყენოს ყოველგვარი სხვა გამამართლებელი საფუძვლის გარეშე. ამასთან, მცირე ღირებულების კონტრაქტები რაოდენობრივად ბევრია (მაგალითად, 2021 წელს 131 ათასი ასეთი კონტრაქტი დაიდო), თუმცა სახელმწიფო შესყიდვების ჯამურ მაჩვენებელზე და ძირითად საკვლევ საკითხებზე ნაკლები გავლენა აქვს.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია აღებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” ვებგვერდებიდან: tendermonitor.ge და politicaldonations.ge. აღნიშნულ საიტებზე ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული სისტემიდან და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის ვებგვერდიდან იტვირთება.

---

1 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიშები

2 საგანგებო მდგომარეობის პერიოდში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები: ძირითადი მონაცემების ანალიზი და კორუფციის რისკები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2020 წ, https://cutt.ly/XOhMyC5

3 პანდემიის დროს სამშენებლო სექტორში სახელმწიფოს მიერ დადებული გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2021 წ, https://cutt.ly/POjqO26

4 პანდემიის დროს სატრანსპორტო სფეროში 43 მლნ ლარამდე პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვები გაფორმდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2021 წ, https://cutt.ly/tOjqS5o

1. გამარტივებული შესყიდვების საფუძველი

გამარტივებული, იგივე პირდაპირი შესყიდვების საფუძვლები საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ არის განსაზღვრული, რომელიც განმარტავს იმ გარემოებებს, თუ როდის შეუძლია შემსყიდველს, არ გამოიყენოს ელექტრონული ტენდერის ინსტრუმენტი და პირდაპირ, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შეიძინოს სასურველი საქონელი და მომსახურება. ზოგადად, ელექტრონული ტენდერი შესყიდვის მეტად გამართლებული გზაა, ვიდრე გამარტივებული შესყიდვა. სათანადოდ ჩატარებული ელექტრონული ტენდერი ეკონომიის გაკეთების საშუალებას იძლევა და ამასთან ერთად, ამცირებს კორუფციულ რისკებს - შემსყიდველმა კონტრაქტი სასურველ კომპანიას არ გაუფორმოს.

ორი წლის წინ დაწყებულმა პანდემიამ გამარტივებული შესყიდვების მოცულობა გაზარდა, რასაც წინ სამართლებრივი საფუძვლების შექმნა უძღოდა. 2020 წლის 28 იანვარს საქართველოს მთავრობამ „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულება მიიღო[5]. განკარგულებაში განისაზღვრა ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარებულიყო „კორონავირუსის” გავრცელების აღსაკვეთად და პანდემიის შედეგად ქვეყანაზე მიყენებული ეკონომიკური და სოციალური ზიანის შესამცირებლად. მთავრობამ დაადგინა, რომ აღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო მომსახურების და საქონლის შესყიდვები გადაუდებელი აუცილებლობით ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული (პირდაპირი) შესყიდვის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვების განხორციელებას გულისხმობს. ამასთან, ნებისმიერი გამარტივებული შესყიდვისთვის აუცილებელი დარჩა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობა. უწყებები, რომელზეც აღნიშნული განკარგულება გავრცელდა და შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვების განხორციელება გაუმარტივდათ, შემდეგია: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი”, სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი”, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, შპს „საქართველოს ფოსტა“, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო”, საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

---

5 „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის განკარგულება, N164 https://cutt.ly/POjq87P

საკვლევ პერიოდში გამარტივებული შესყიდვის გამოყენების საფუძვლად შემსყიდველები ყველაზე ხშირად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებას შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებას ასახელებდნენ. არის თუ არა შესყიდვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის, ეს მთავრობის სამართლებრივი აქტით ან ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების სამართლებრივი აქტებით დგინდება. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი“ არ განმარტავს, რა შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებად. შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვისთვის აღნიშნული საფუძვლის გამოყენება საქართველოს მთავრობის გადასაწყვეტია. მსხვილი გამარტივებული შესყიდვების კიდევ ერთ ხშირად გამოყენებად საფუძვლად შემსყიდველების მიერ გადაუდებელი აუცილებლობა იყო დასახელებული

2020 წლის პირველი ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების საფუძვლით ჯამში 788 მლნ ლარი დაიხარჯა, რაც მთლიანი გამარტივებული შესყიდვების 45%-მდე იყო. მათ შორის, ყველაზე მეტი თანხა - 349 მლნ ლარი ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების შესაძენად დაიხარჯა. 459 მლნ ლარის პირდაპირი სახელმწიფო კონტრაქტები კი გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გაფორმდა. გადაუდებელი აუცილებლობით ყველაზე მეტი თანხა - 149 მლნ ლარი სასტუმროს მომსახურების შესყიდვაზე დაიხარჯა, რაც რეალურად საკარანტინე სივრცეებად და „კოვიდ სასტუმროებად“ სასტუმროების მომსახურების შესყიდვას მოიცავს. 134 მლნ ლარი ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების შესყიდვაზე დაიხარჯა.

საბოლოო ჯამში, საკვლევ პერიოდში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების და გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით **1.2 მლრდ** ლარი დაიხარჯა, რაც მთლიანი გამარტივებული შესყიდვების **75%** იყო.

საანგარიშო პერიოდში **1.7 მლრდ** ლარამდე ჯამური ღირებულების 21 ათასამდე მსხვილი კონტრაქტი გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის გზით. აღნიშნული რიცხვი მოიცავს მხოლოდ იმ კონტრაქტებს, რომელთა მინიმალური ღირებულება 5,000 ლარია. უშუალოდ „კოვიდ-19“-ით გამოწვეულ პანდემიასთან ბრძოლის ხარჯების გარეშე[6] აღნიშნულ პერიოდში გამარტივებული შესყიდვები 941 მლნ ლარის იყო. შესაბამისად, „კოვიდ 19“-ით გამოწვეულმა ხარჯმა გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებში დაახლოებით 715 მლნ ლარი შეადგინა.

2.1. რის შესყიდვაზე დაიხარჯა ყველაზე მეტი თანხა გამარტივებული შესყიდვებით

შესყიდვის ობიექტების მიხედვით, საკვლევ პერიოდში გამარტივებული შესყიდვის გზით ყველაზე მეტი თანხა - 486 მლნ ლარი ჯანდაცვის სფეროს მომსახურებებზე დაიხარჯა, რაც ძირითადად „კოვიდ პაციენტების“ მკურნალობას მოიცავდა. შემდეგ მოდიოდა სამშენებლო სამუშაოების მომსახურების შეძენა - 276 მლნ ლარით, რაც გარკვეულწილად იმითაც იყო განპირობებული, რომ მთავრობამ ეკონომიკის ზრდის სუბსიდირების მიზნით ინფრასტრუქტურული პროექტები დააჩქარა.

პანდემიამ მნიშვნელოვნად გაზარდა სასტუმროების მომსახურების შეძენის ხარჯები, რომელზეც 152 მლნ ლარი დაიხარჯა. პანდემიის საწყისს ეტაპზე სასტუმროების დაქირავების პრინციპი კითხვებს აჩენდა, რადგან არ არსებობდა ერთიანი ტარიფი და სასტუმროების შერჩევის კრიტერიუმები. 2020 წლის მარტის ბოლოდან მთავრობამ ერთი ნომრის ღირებულება მაქსიმუმ 100 ლარად განსაზღვრა, ხოლო ვირუსის ფართოდ გავრცელებამ სასტუმროების საკარანტინე სივრცეებად და „კოვიდ სასტუმროებად“ მასიურად გამოყენება გახადა საჭირო.

112 მლნ ლარი გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებების შეძენაზე დაიხარჯა, რაც რეალურად სსიპ „დაცვის პოლიციის” მომსახურების შესყიდვას გულისხმობდა.

პანდემიის გავლენა დაეტყო სამედიცინო მოწყობილობების და ფარმაცევტული პროდუქტების შეძენაზე დახარჯულ თანხას, რომლებზეც ჯამში 75 მლნ ლარი დაიხარჯა (სხვა დეტალებისთვის იხილეთ **გრაფიკი 1**).

6 პანდემიისგან გამოწვეული ხარჯებია შესაბამისი სამედიცინო მოწყობილობების შეძენა, ფარმაცევტული პროდუქტების შეძენა, ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების შეძენა და საკარანტინე სივრცეებად და „კოვიდ კლინიკების“ მოსაწყობად სასტუმროების მომსახურების შეძენა.

გრაფიკი 1. პანდემიის პერიოდში განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების 10 ყველაზე მსხვილი კატეგორია, მლნ ლარი



ინფორმაციის წყარო: https://www.tendermonitor.ge/

2.2. რომელმა უწყებებმა დახარჯეს ყველაზე მეტი თანხა გამარტივებული შესყიდვებით

2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში სახელმწიფო უწყებებიდან ყველაზე მეტი თანხა - 355 მლნ ლარი გამარტივებულ შესყიდვებში სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ“ დახარჯა, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემავალი სსიპ-ია. აღნიშნული სააგენტო სამედიცინო დაწესებულებებში „კოვიდ პაციენტების“ მკურნალობაზე აფორმებს კონტრაქტებს. 2021 წლამდე ამ ფუნქციას სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო” ასრულებდა, რომელმაც ამ მიზნით პანდემიის დაწყებიდან 2020 წლის ბოლომდე 99 მლნ ლარის კონტრაქტები გააფორმა გამარტივებული შესყიდვის გზით.

შემდეგ მოდის სსიპ „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია”, რომელმაც 136 მლნ ლარის კონტრაქტები გააფორმა გამარტივებული შესყიდვის გზით. ეს უწყება საკარანტინე სივრცეების და „კოვიდ სასტუმროების“ მოსაწყობად აფორმებს კონტრაქტებს სასტუმროებთან. ასევე მსხვილი კონტრაქტები გააფორმა სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, რაც საკარანტინე სივრცეებში ადამიანების გადაყვანას ემსახურება.

ზემოთ აღნიშნული სამი უმსხვილესი შემსყიდველის ხარჯები პანდემიასთან იყო დაკავშირებული. მათ შემდეგ კი მოდიოდა თბილისის მერია და მის მფლობელობაში მყოფი

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია”, რომლებმაც ჯამში 123 მლნ ლარი დახარჯეს გამარტივებულ შესყიდვებზე. თბილისის მერიამ 66 მლნ ლარის კონტრაქტები საკუთარ შპს-ს, „თბილსერვის ჯგუფს“ გაუფორმა ქუჩის განათებების შესყიდვა-მომსახურებაზე. რაც შეეხება „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას”, მას 4.5 მლნ ევროიანი კონტრაქტი სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე და სარემონტო მომსახურებაზე „თეგეტა მოტორსთან“ აქვს გაფორმებული.

45 მლნ ლარის კონტრაქტები გააფორმა კიდევ ერთმა სახელმწიფო შპს-მ „ემ თი ეიმ“, საიდანაც 33.8 მლნ ლარი ავსტრიულ კომპანიასთან, „Doppelmayr Seilbahnen GmbH“-თან გაფორმებულ ერთ კონტრაქტზე მოდიოდა. ავსტრიულმა კომპანიამ 2022 წლის ბოლომდე ჰაწვალი-ზურულდის დაზიანებული საბაგირო გზის დემონტაჟისა და მის ადგილას ახალი საბაგიროს მშენებლობასთან და მის ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები უნდა შეასრულოს. შპს „ემ თი ეი“ ყოფილი „მთის კურორტების განვითარების კომპანიაა”.

გრაფიკ 2-ზე წარმოდგენილ ყველაზე მსხვილ 10 შემსყიდველზე ჯამში 894 მლნ ლარის კონტრაქტები მოდის, რაც საკვლევი პერიოდის ჯამური გამარტივებული შესყიდვების 54%-ია.

გრაფიკი 2. უწყებები, რომლებმაც პანდემიის პერიოდში ყველაზე მეტი თანხა დახარჯეს გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, მლნ ლარი



ინფორმაციის წყარო: https://www.tendermonitor.ge/

2.3. რომელმა მიმწოდებლებმა მიიღეს ყველაზე მეტი თანხა გამარტივებული შესყიდვებით

2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტორი მიმწოდებლებიდან ყველაზე მეტი თანხა - 44 მლნ ლარი სს „ევექსის ჰოსპიტლებმა“ მიიღო. შემდეგ მოდიოდა შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ – 27 მლნ ლარით. ზოგადად, სამედიცინო დაწესებულებები ლიდერობენ კონტრაქტების მოცულობით, რადგან „კოვიდ პაციენტების“ მიღებისთვის სოლიდური თანხები მიიღეს სახელმწიფოსგან. ჯანდაცვის სფეროს მომსახურებებზე დახარჯული 486 მლნ ლარი მათზე განაწილდა.

მსხვილი მიმწოდებლები იყვნენ სახელმწიფო სსიპ-ები და შპს-ებიც. მაგალითად, საკვლევ პერიოდში სსიპ-მა „დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა“ 79 მლნ ლარი მიიღო გამარტივებული შესყიდვებით, შპს ,,თბილსერვის ჯგუფმა” - 54 მლნ ლარი, „იუსტიციის სახლმა“ კი - 12 მლნ ლარი.

სამედიცინო დაწესებულებების და სასტუმროების გამოკლებით, რომლებმაც ხელშეკრულებები პანდემიის გამო მიიღეს, კერძო ქართული კომპანიებიდან ყველაზე მსხვილი, ჯამში 36 მლნ ლარის კონტრაქტები შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ და შპს „თეგეტა მოტორსმა“ მიიღეს. შემდეგ მოდიან სამშენებლო კომპანიები შპს „ინსი“ 13 მლნ ლარით და შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“ 12.5 მლნ ლარით. ტელე-საკომუნიკაციო კომპანიებმა სს „სილქნეტმა“ და შპს „მაგთიკომმა“ ჯამში 22.6 მლნ ლარი მიიღეს (დეტალური ინფორმაცია იხილეთ **გრაფიკზე 3**).

გრაფიკი 3. კერძო ქართული კომპანიები, რომლებმაც პანდემიის პერიოდში გამარტივებული შესყიდვებით ყველაზე მეტი თანხა მიიღეს, მლნ ლარი



ინფორმაციის წყარო: https://www.tendermonitor.ge/

3. კორუფციის რისკები და არასათანადო პრაქტიკა გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებში

3.1. მმართველი პარტიის შემომწირველების მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვებში

სახელმწიფო შესყიდვებში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კორუფციული რისკის მატარებელი ის შემთხვევებია, როდესაც გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტებს ისეთ კომპანიები იღებენ, რომლებიც თავად ან მათთან დაკავშირებული პირების მეშვეობით მმართველ პოლიტიკურ პარტიას აფინანსებენ. ასეთ დროს პოლიტიკური კორუფციის ნიშნები ჩნდება.

2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებული 1.7 მლრდ ლარის გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებიდან „ქართული ოცნების“ და მის მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის შემომწირველებმა 156 მლნ ლარის (ჯამის 9.4%) კონტრაქტები მიიღეს. 156 მლნ ლარი 210 კომპანიაზე და 11 ფიზიკურ პირზე ნაწილდება, რომლებმაც 2013-2021 წლებში პირდაპირ ან დაკავშირებული პირების მეშვეობით „ქართულ ოცნებას“ და სალომე ზურაბიშვილს ჯამში 14 მლნ ლარზე მეტი შესწირეს. აღნიშნული თანხა ძირითადად ბოლო 5 წელშია შეწირული სახელისუფლო პარტიაზე, მათ შორის, 5 მლნ ლარამდე პანდემიის დაწყების შემდეგ იქნა შეწირული.

ჯამური 1.7 მლრდ ლარის გამარტივებული შესყიდვებიდან 355 მლნ ლარამდე კონტრაქტები სახელმწიფო შპს-ებმა, სსიპ-ებმა და ა(ა)იპ-ებმა მიიღეს (მაგალითად, როგორებიცაა „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი”, „თბილსერვის ჯგუფი“, „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი”, „იუსტიციის სახლი” და ა.შ.). აღნიშნული შესყიდვების გარეშე, ანუ კერძო კომპანიებთან დადებულმა კონტრაქტებმა 1.3 მლრდ ლარი შეადგინა, საიდანაც „ქართული ოცნების“ შემომწირველების მიერ მიღებული კონტრაქტების წილი 12% იყო.

პანდემიის დროს მნიშვნელოვანი თანხა დაიხარჯა სამედიცინო დაწესებულებების მომსახურების, ფარმაცევტული საშუალებების და საკარანტინე სივრცეებად და „კოვიდ კლინიკებად“ სასტუმროების დაქირავებაზე. თუ ვნახავთ გამარტივებულ შესყიდვებს უშუალოდ პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯების გარეშე და ამ შესყიდვებში მონაწილე სახელისუფლო პარტიის შემომწირველებს, მათი წილი კერძო კომპანიებთან გაფორმებულ შესყიდვებში 17%-მდე გამოვა.

ცხრილი 1. „ქართული ოცნების“ და სალომე ზურაბიშვილის შემომწირველი კომპანიები, რომლებმაც პანდემიის დროს გამარტივებული შესყიდვით მლნ ლარზე მეტი ჯამური ღირებულების კონტრაქტები მიიღეს			
კომპანია	**კონტრაქტების ჯამური ღირებულება, მლნ ლარი, (01.06.2020 - 31.12.2021)**	**შემომწირველი**	**შეწირული თანხა, ლარი, (2013 - 2021)**
შპს „თეგეტა მოტორსი“, შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“	36.7	„თეგეტა მოტორსი“, გიორგი მშვილდაძე	175,000
შპს „ინსი“	13	ზვიად თოიძე	50,000
შპს „უნივერსალ სპირიტს“	9.7	ირაკლი ბექაური	150,000
შპს „New Road“	6.8	დავით ჟღენტი	30,000
სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“	5.4	პაპუნა ბახტაძე	55,000
შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“	4.7	ირაკლი ჭკადუა	10,000
შპს „ცოტნე“	4	ირაკლი კერვალიშვილი	240,000
შპს „პირველი სამედიცინო ცენტრი“	3.9	ზაზა ავალიანი	100,000
სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“	3.6	ზურაბ სადუნაშვილი	11,700
სს „ლაზიკა მედი“	3.2	გოჩა გაბედავა	30,000
შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი“	3	ნუგზარ ხუცაიძე	50,000
შპს „ავერსი-ფარმა“	2.9	ავერსი-ფარმა	188,000
შპს „გზა და ხიდი“	2.6	მამუკა ივანიაძე	5,000

შპს „ეი-ბი ემ“	2.6	ალექსანდრე ხეთერელი	60,000
შპს „ჯეი ემ კომპანი“	2.2	ნუგზარ მამუჭაძე	50,000
შპს „იბოლია“	2.2	„იბოლია“, იოსებ მაკრახიძე	120,000
შპს „ფერომედი“	2.1	კოტე ქავთარაძე	10,000
შპს „ყვარლის სარდაფი“	2.1	ყვარლის სარდაფი	100,000
შპს „როქ ლოჯისტიკსი“	2	ლერი რაზმაძე	9,000
შპს „ილი ჯგუფი“	1.8	ლაშა უღრელიძე, იაშა ჩაჩუა	170,000
შპს „გრუზვინპრომი“	1.5	„Bolero & Company“, მამუკა ფოთოლაშვილი	170,000
შპს „აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“	1.5	ნატა ყაზახაშვილი	50,000
შპს „სასტუმრო სანი“	1.4	ნინო თხელიძე	3,000
შპს „მაიჯიპიეს“	1.4	თემური მატუა	60,000
შპს „ნიუ ტიფლის“	1.3	სიმონი გეგელაშვილი	200,000
შპს „ჯი-თი მოტორს“	1.1	შპს „ჯი-თი მოტორსი“, თემურ უსტიაშვილი	61,000
შპს „ბორანი“	1.1	მელანო უკლება, გიორგი აბულაძე	30,000
შპს „გზამშენი-18“	1.1	თეიმურაზ ჯახვა, ვახტანგ ჭანტურია	25,000

მონაცემთა წყარო: https://www.tendermonitor.ge/, https://transparency.ge/politicaldonations/

ქვემოთ დამატებით ინფორმაციაა მოცემული იმ კომპანიებზე, რომლებმაც საანგარიშო პერიოდში 1 მლნ ლარზე მეტი თანხა მიიღეს გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების გზით. ჩამონათვალი არ მოიცავს იმ კომპანიებს, რომლებმაც 1 მლნ ლარზე მეტი მიიღეს, მაგრამ მათზე დამატებითი ინფორმაცია უკვე გვაქვს ასახული წინა ორ კვლევაში[7]. ასევე არ მოიცავს იმ სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებმაც „კოვიდ პაციენტების“ მკურნალობისთვის გაუფორმეს კონტრაქტები.

შპს „უნივერსალ სპირიტს“ და შპს „გრუზვინპრომი“

შპს „უნივერსალ სპირიტსმა“ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით 9.7 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 19 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით. კონტრაქტები მას შპს „მოსავლის მართვის კომპანიამ“ და სს „აკურამ“ გაუფორმეს.

„უნივერსალ სპირიტს“ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა არასდროს მიუღია, კონტრაქტებს მხოლოდ გამარტივებული შესყიდვით იღებს. 2015-2021 წლებში მას ჯამში 16 მლნ ლარის კონტრაქტები აქვს მიღებული გამარტივებული შესყიდვის გზით.

შპს „უნივერსალ სპირიტსის“ 100%-იან წილს შპს „საქართველოს სპირტსახდელების გაერთიანება“ ფლობს, რომლის დირექტორს ირაკლი ბექაურს „ქართული ოცნებისთვის“ 150,000 ლარი აქვს შეწირული. მათ შორის, 80,000 ლარი პარტიას პანდემიის დაწყების შემდეგ, 2020-2021 წლებში შესწირა.

შპს „საქართველოს სპირტსახდელების გაერთიანების“ 80%-იან წილს საქართველოს და რუსეთის ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი ვახტანგ კარიჭაშვილი ფლობს, რომელიც თავისუფლების მონიტორის საგამომძიებლო სიუჟეტის[8] მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილი ბიზნესპარტნიორია. ისინი ერთად ფლობენ ბრიტანეთში დაფუძნებულ კომპანიას „GWP Wines and Spirits Limited.[9]

ვახტანგ კარიჭაშვილი ასევე ფლობს შპს „Bolero & Company“-ს, რომლის შვილობილმა კომპანიამ შპს „გრუზვინპრომმა“ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე 1.5 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 10 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით. კონტრაქტები შპს „მოსავლის მართვის კომპანიამ“ და სს „აკურამ“ გაუფორმეს. კომპანიას 2012-2021 წლებში, ჯამში 6 მლნ ლარის კონტრაქტები აქვს მიღებული გამარტივებული შესყიდვის გზით.

შპს „გრუზვინპრომის“ დირექტორი მამუკა ფოთოლაშვილს 2017 წელს „ქართული ოცნებისთვის“ 50,000 ლარი აქვს შეწირული. შპს „Bolero & Company“-ს 2016 წელს „ქართული ოცნებისთვის“ 120,000 ლარი აქვს შეწირული, ხოლო მის დირექტორს თორნიკე მახათაძეს 2018-2019 წლებში 15,000 ლარი აქვს შეწირული.

---

7 1. პანდემიის დროს სამშენებლო სექტორში სახელმწიფოს მიერ დადებული გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2021 წ, https://cutt.ly/POjqO26

2. პანდემიის დროს სატრანსპორტო სფეროში 43 მლნ ლარამდე პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვები გაფორმდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2021 წ, https://cutt.ly/tOjqS5o

8 თავისუფლების მონიტორი, „ვინ შეჭამა ვენახი?“ https://cutt.ly/1I4i8pE

9 https://youcontrol.com.ua/en/catalog/gb-card/12479836/

აღნიშნულ ორ კომპანიას და მასთან დაკავშირებულ პირებს „ქართული ოცნებისთვის“ ჯამში 335,000 ლარი აქვთ შეწირული. გამარტივებული შესყიდვებიდან კი ჯამში 22 მლნ ლარი მიიღეს.

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონმა“ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით 4.7 მლნ ლარის ჯამური ღირებულების კონტრაქტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით. კონტრაქტი მას 2021 წლის ნოემბერში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ გაუფორმა მეტროსადგურ „გოცირიძეს“ რეკონსტრუქციისთვის. პანდემიის პერიოდში „სამშენებლო კომპანია მამისონს“ გამარტივებული შესყიდვით სხვა კონტრაქტი არ მიუღია. 2015 წელს კი 304 ათასი ლარის ჯამური ღირებულების 3 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული შესყიდვით ვაკის რაიონის გამგეობისგან.

პანდემიის პერიოდში „სამშენებლო კომპანია მამისონმა“ 45 მლნ ლარის კონტრაქტები ელექტრონული ტენდერებიდან მიიღო. 2011-2021 წლებში კი ჯამში 173 მლნ ლარის ელექტრონული ტენდერები აქვს მოგებული.

„მამისონს“ ელექტრონული ტენდერებიდან და გამარტივებული შესყიდვებიდან ჯამში 178 მლნ ლარის ღირებულების კონტრაქტები აქვს მიღებული.

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ 100%-იან წილს შპს „ევორდ ჰოლდინგი“ ფლობს, რომლის 34%-იანი წილის მფლობელს ირაკლი ჭკადუას „ქართული ოცნებისთვის“ 2017 წელს 10,000 ლარი აქვს შეწირული.

სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“

სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფმა“ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით 3.6 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 11 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით. აქედან, 3.5 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 3 კონტრაქტი მას „საქართველოს რკინიგზამ“ გაუფორმა ჯანმრთელობის დაზღვევის შესაძენად. პანდემიამდე, 2018-2020 წლებში აღნიშნულ კომპანიას 300 ათას ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ჰქონდა მიღებული გამარტივებული შესყიდვის გზით.

პანდემიის პერიოდში 2 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ელექტრონული ტენდერებიდან მიიღო. 2017-2021 წლებში კი ჯამში 14 მლნ ლარის ელექტრონული ტენდერები აქვს მოგებული.

აღნიშნულ კომპანიას ელექტრონული ტენდერებიდან და გამარტივებული შესყიდვებიდან ჯამში 18 მლნ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები აქვს მიღებული.

შპს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ აღმასრულებელ დირექტორს ზურაბ სადუნაშვილს 2014-2016 წლებში „ქართული ოცნებისთვის“ 11,700 ლარი აქვს შეწირული.

შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინი“

შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინმა“ („სერპანტინი“) 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით 3 მლნ ლარის ჯამური ღირებულების

2 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით. კონტრაქტები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გაუფორმა. პანდემიამდე, 2012-2019 წლებში აღნიშნულ კომპანიას 6 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ჰქონდა მიღებული გამარტივებული შესყიდვის გზით.

„სერპანტინმა“ პანდემიის პერიოდში 40 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ელექტრონული ტენდერებიდან მიიღო. 2011-2021 წლებში ჯამში 146 მლნ ლარის ელექტრონული ტენდერები აქვს მოგებული.

„სერპანტინს“ ელექტრონული ტენდერებიდან და გამარტივებული შესყიდვებიდან ჯამში 155 მლნ ლარის ღირებულების კონტრაქტები აქვს მიღებული.

შპს „სერპანტინის“ 31%-იანი წილის მფლობელს ნუგზარ ხუცაიძეს 2016 წელს „ქართული ოცნებისთვის“ 50,000 ლარი აქვს შეწირული. კომპანიის 69%-იან წილს თამარი ჯანყარაშვილი ფლობს, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის ყოფილი პირველი მოადგილის - გიორგი ზედელაშვილის დედაა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ უკვე წერდა კომპანია „სერპანტინის“ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის გარშემო არსებულ კორუფციულ რისკებზე.[10]

შპს „ავერსი-ფარმა“

შპს „ავერსი-ფარმამ“ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით 2.9 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 32 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით. კონტრაქტები სხვადასხვა საავადმყოფოებმა გაუფორმეს. პანდემიამდე, 2012-2020 წლებში აღნიშნულ კომპანიას 5 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ჰქონდა მიღებული გამარტივებული შესყიდვის გზით.

„ავერსი-ფარმამ“ პანდემიის პერიოდში 4 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ელექტრონული ტენდერებიდან მიიღო. 2011-2021 წლებში ჯამში 35 მლნ ლარის ელექტრონული ტენდერები აქვს მოგებული.

„ავერსი-ფარმას“ ელექტრონული ტენდერებიდან და გამარტივებული შესყიდვებიდან ჯამში 43 მლნ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები აქვს მიღებული.

შპს „ავერსი-ფარმას“ 2017 წელს „ქართული ოცნებისთვის“ 88,000 ლარი აქვს შეწირული. კომპანიის 67%-იან წილს პაატა კურტანიძე ფლობს, რომლის მფლობელობაში არსებულ კიდევ ერთ კომპანიას შპს „ავერსი-რაციონალს“ 2017 წელს „ქართული ოცნებისთვის“ 100,000 ლარი აქვს შეწირული. „ავერსი-რაციონალს“ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობ არ მიუღია.

---

10 „გიორგი ზედელაშვილის დედის კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 105 მილიონ ლარზე მეტი მიიღო“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო https://cutt.ly/7I75Ni9

შპს „გზა და ხიდი“

შპს „გზა და ხიდმა“ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით 2.6 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 2 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით. ორივე კონტრაქტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გაუფორმა. პანდემიამდე, 2017 წელს 3,600 ლარამდე ჯამური ღირებულების 2 კონტრაქტი ჰქონდა მიღებული გამარტივებული შესყიდვის გზით მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურიდან.

„გზა და ხიდმა“ პანდემიის პერიოდში 11.5 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ელექტრონული ტენდერებიდან მიიღო. აღნიშნული კომპანია ელექტრონულ ტენდერებში 2019 წლიდან მონაწილეობს და პანდემიამდე 6.7 მლნ ლარის კონტრაქტები მიიღო.

„გზა და ხიდს“ ელექტრონული ტენდერებიდან და გამარტივებული შესყიდვებიდან ჯამში 21 მლნ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები აქვს მიღებული.

შპს „გზა და ხიდის“ დირექტორს მამუკა ივანიაძეს 2019 წელს „ქართული ოცნებისთვის“ 5,000 ლარი აქვს შეწირული.

შპს „ეი-ბი ემ“

შპს „ეი-ბი ემმა“ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით 2.56 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 18 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით. კონტრაქტები ფარმაცევტული საშუალებების და სამედიცინო მოწყობილობების შესაძენად სხვადასხვა შემსყიდველებმა გაუფორმეს. პანდემიამდე, 2014-2020 წლებში 11 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ჰქონდა მიღებული გამარტივებული შესყიდვის გზით.

„ეი-ბი ემმა“ პანდემიის პერიოდში 1 მლნ ლარზე მეტი ჯამური ღირებულების კონტრაქტები ელექტრონული ტენდერებიდან მიიღო. აღნიშნული კომპანია ელექტრონულ ტენდერებში 2012 წლიდან მონაწილეობს და პანდემიამდე 4 მლნ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები მიიღო.

„ეი-ბი ემს“ ელექტრონული ტენდერებიდან და გამარტივებული შესყიდვებიდან ჯამში 19 მლნ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები აქვს მიღებული.

შპს „ეი-ბი ემის“ 33.3%-იანი წილის მფლობელს და დირექტორს ალექსანდრე ხეთერელს 2016 წელს „ქართული ოცნებისთვის“ 60,000 ლარი აქვს შეწირული.

შპს „ყვარლის სარდაფი“

შპს „ყვარლის სარდაფმა“ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით 2.1 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 20 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით. კონტრაქტები შპს „მოსავლის მართვის კომპანიამ“ და სს „აკურამ“ გაუფორმეს. პანდემიამდე, 2013-2020 წლებში 450 ათას ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ჰქონდა მიღებული გამარტივებული შესყიდვის გზით.

კომპანიას ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა არასდროს მიუღია. გამარტივებული შესყიდვებიდან ჯამში 2.6 მლნ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები აქვს მიღებული.

შპს „ყვარლის სარდაფს“ 2019 წელს „ქართული ოცნებისთვის“ 100,000 ლარი აქვს შეწირული. კომპანიის 55%-იან წილს ნინო ბარათაშვილი ფლობს, ხოლო 45%-იან წილს ონისე ღვალაძე.

შპს „როქ ლოჯისტიკსი“

შპს „როქ ლოჯისტიკსმა“ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით 2 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 10 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით. კონტრაქტები შპს „მოსავლის მართვის კომპანიამ“ და სს „აკურამ“ გაუფორმეს. პანდემიამდე, 2019-2020 წლებში 600 ათას ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ჰქონდა მიღებული გამარტივებული შესყიდვის გზით.

კომპანიას ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა არასდროს მიუღია. გამარტივებული შესყიდვებიდან ჯამში 2.6 მლნ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები აქვს მიღებული.

შპს „როქ ლოჯისტიკსის“ 100%-იანი წილის მფლობელს და დირექტორს ლერი რაზმაძეს 2019-2020 წლებში „ქართული ოცნებისთვის“ 9,000 ლარი აქვს შეწირული.

შპს „ილი ჯგუფი“

შპს „ილი ჯგუფმა“ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის დეკემბრის ჩათვლით 1.8 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 7 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით. კონტრაქტები უფასო სასადილოებით მომსახურებისთვის სხვადასხვა უწყებებმა გაუფორმეს. პანდემიამდე, 2012-2020 წლებში 1.8 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ჰქონდა მიღებული გამარტივებული შესყიდვის გზით.

„ილი ჯგუფმა“ პანდემიის პერიოდში 15 მლნ ლარამდე ჯამური ღირებულების კონტრაქტები ელექტრონული ტენდერებიდან მიიღო. მოგებულ ტენდერებში ძირითადად კონკურენტები არ ჰყავდა. აღნიშნული კომპანია ელექტრონულ ტენდერებში 2011 წლიდან მონაწილეობს და პანდემიამდე 90 მლნ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები მიიღო.

„ილი ჯგუფს“ ელექტრონული ტენდერებიდან და გამარტივებული შესყიდვებიდან ჯამში 110 მლნ ლარამდე ღირებულების კონტრაქტები აქვს მიღებული.

შპს „ილი ჯგუფის“ 71%-იანი წილის მფლობელს და დირექტორს იაშა ჩაჩუას 2018 წელს „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის სალომე ზურაბიშვილისთვის 60,000 ლარი აქვს შეწირული. ამავე კომპანიის 29%-იანი წილის მფლობელს ლაშა უღრელიძეს კი 2018-2020 წლებში სალომე ზურაბიშვილისთვის და „ქართული ოცნებისთვის“ ჯამში 110,000 ლარი აქვს შეწირული. მათ შორის, „ქართულ ოცნებას“ პანდემიის დროს, 2020 წლის ოქტომბერში შესწირა.

3.2. ახლად დაფუძნებული კომპანიების მიერ მიღებული კონტრაქტები

2020 წლის პირველი ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პირდაპირი შესყიდვის გზით კონტრაქტები 192-მა ახლად დაფუძნებულმა კომპანიამ მიიღო. ახლად დაფუძნებულად მივიჩნევთ იმ კომპანიებს, რომლებსაც სახელმწიფო უწყებამ კონტრაქტი კომპანიის დაფუძნებიდან მაქსიმუმ 6 თვეში გაუფორმა. აღნიშნულ კომპანიებს ჯამში 9 მლნ ლარის ღირებულების პირდაპირი კონტრაქტები გაუფორმდათ. 192 კომპანიიდან 112-მა კონტრაქტები დაფუძნებიდან 3 თვეზე ნაკლებ დროში მიიღეს, 60-მა კომპანიამ დაფუძნებიდან მაქსიმუმ ერთ თვეში, ხოლო 22 კომპანიას კონტრაქტი დაფუძნებიდან მაქსიმუმ 10 დღეში გაუფორმდა.

ახლად დაფუძნებული კომპანიების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა, მითუმეტეს გამარტივებულ შესყიდვებში, ორი გარემოების გამო იქცევს ყურადღებას: 1. ზრდის კორუფციის რისკებს და 2. გამოცდილების არქონის გამო მიწოდებული საქონლის ან მომსახურების ხარისხის მიმართ აჩენს კითხვებს. გარდა ამისა, როდესაც შემსყიდველი საქონელს ან მომსახურებას ახლად დაფუძნებული, გამოუცდელი კომპანიიდან ყიდულობს, ჩნდება ეჭვი, რომ იგი დაინტერესებული არის კონკრეტულმა პირებმა მიიღონ თანხა.

ქვემოთ დამატებით ინფორმაციაა მოცემული იმ კომპანიაზე, რომლებმაც გამარტივებული შესყიდვით კონტრაქტი დაფუძნებიდან მაქსიმუმ 10 დღეში მიიღეს. ჩამონათვალი არ მოიცავს იმ კომპანიებს, რომლებმაც კონტრაქტები დაფუძნებიდან მაქსიმუმ 10 დღეში მიიღეს, მაგრამ მათზე დამატებითი ინფორმაცია უკვე გვაქვს ასახული წინა კვლევაში[11].

შპს „ჰარმონია 3“

შპს „ჰარმონია 3“ 2021 წლის 26 აგვისტოს თებერვალს **დაფუძნდა და იმავე დღეს** სსიპ-მა „აწარმოე საქართველოში“ გამარტივებული შესყიდვის გზით 49,000 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა კინო და ვიდეო მომსახურების მიწოდებაზე. აღნიშნულ კომპანიას სახელმწიფო შესყიდვებიდან მხოლოდ ეს ერთი კონტრაქტი აქვს მიღებული.

შპს „ჰარმონია 3“-ის 100%-იან წილის მფლობელი და დირექტორი გიორგი შაკაიაა, რომელიც სხვა კომპანიების წილების მფლობელიც არის, თუმცა მის სხვა კომპანიებს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

შპს „საბა“

შპს „საბა“ 2020 წლის 19 აგვისტოს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 2 დღეში**, 21 აგვისტოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 32,407 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა შენობის სარემონტო სამუშაოების შესრულებისთვის. „საბას“ სხვა სახელმწიფო უწყებასთან გამარტივებული შესყიდვის გზით კონტრაქტი არ გაუფორმებია, ხოლო ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა არასდროს მიუღია.

---

11 პანდემიის დროს სამშენებლო სექტორში სახელმწიფოს მიერ დადებული გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2021 წ, https://cutt.ly/POjqO26

შპს „საბას“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი ჯემალ სამხარაძეა. ჯემალ სამხარაძემ, როგორც ინდივიდუალურმა მეწარმემ 2020-2021 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიისგან 4 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული შესყიდვის გზით. კონტრაქტების ჯამური ღირებულება 73 ათასი ლარი იყო.

შპს „ღარულა“

შპს „ღარულა“ 2021 წლის 23 ივლისს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 3 დღეში**, 26 ივლისს ონის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 12,330 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისთვის. კომპანიამ 2021 წლის აგვისტო-ნოემბერში კიდევ 4 კონტრაქტი მიიღო ონის მუნიციპალიტეტის მერიისგან გამარტივებული შესყიდვის გზით - ამ კონტრაქტების ჯამური ღირებულება 71 ათასი ლარი იყო. „ღარულას“ სხვა სახელმწიფო უწყებასთან გამარტივებული შესყიდვის გზით კონტრაქტი არ გაუფორმებია, ხოლო ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა არასდროს მიუღია.

შპს „ღარულას“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი ლაშა მარკოიშვილია. ის სხვა კომპანიის წილს არ ფლობს.

შპს „ბილდინგ მშენი“

შპს „ბილდინგ მშენი“ 2021 წლის 14 ივლისს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 3 დღეში**, 17 ივლისს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 25,250 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა სპორტული სტადიონის მოწყობისთვის. კომპანიამ 2021 წლის ივლის-აგვისტოში კიდევ 3 კონტრაქტი მიიღო ონის მუნიციპალიტეტის მერიისგან გამარტივებული შესყიდვის გზით. კონტრაქტების ჯამური ღირებულება 230 ათასი ლარია. „ბილდინგ მშენს“ სხვა სახელმწიფო უწყებასთან გამარტივებული შესყიდვის გზით კონტრაქტი არ გაუფორმებია. ელექტრონულ ტენდერებში 2-ჯერ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ გამარჯვებულად არ გამოვლენილა.

შპს „ბილდინგ მშენის“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი ვასილი აბულაშვილია. ამავე დროს, ვასილ აბულაშვილი ორი კომპანიის შპს „ლიზის“ და შპს „სალის“ დირექტორია. შპს „ლიზიმ“ 2017 წელს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიისგან გამარტივებული შესყიდვის გზით 5,770 ლარის ჯამური ღირებულების 2 კონტრაქტი მიიღო, შპს „სალის“ კი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისგან 2019-2020 წლებში გამარტივებული შესყიდვის გზით 367 ათასი ლარის ჯამური ღირებულების 10 კონტრაქტი აქვს მიღებული.

შპს „ევერგრინ ჯორჯია“

შპს „ევერგრინ ჯორჯია“ 2020 წლის 18 ივნისს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 4 დღეში**, 22 ივნისს თბილისის ისნის რაიონის გამგეობამ გამარტივებული შესყიდვის გზით 13,000 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა მებაღეობასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულებისთვის. კომპანიამ 2021 წლის 21 ივლისს, კიდევ ერთი, 4,900 ლარიანი კონტრაქტი მიიღო ისნის რაიონის გამგეობისგან გამარტივებული შესყიდვის გზით. „ევერგრინ ჯორჯიას“ სხვა სახელმწიფო უწყებასთან გამარტივებული შესყიდვის გზით კონტრაქტი არ გაუფორმებია. მან ელექტრონულ ტენდერებში 6-ჯერ მიიღო მონაწილეობა, საიდანაც 3 მოიგო და ჯამურად 159 ათასი ლარის კონტრაქტები მიიღო. კონტრაქტები ქუთაისის მერიამ, ა(ა)იპ ,,რუსთავსერვის ცენტრმა'' და შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაუფორმეს.

შპს „ევერგრინ ჯორჯიას“ 50-50%-იან წილს მუხრან გველესიანი და ხუტა ეძგვერაძე ფლობენ. მუხრან გველესიანი ასევე ფლობს 2018 წელს დაფუძნებულ კომპანიას „ევერგრინი“, რომელსაც 2019-2020 წლებში 36 ათასი ლარის ჯამური ღირებულების 3 ელექტრონული ტენდერი აქვს მოგებული, გამარტივებული შესყიდვით კი კონტრაქტი არ მიუღია.

შპს „მეგა დეველოპმენტი“

შპს „მეგა დეველოპმენტი“ 2020 წლის 16 ნოემბერს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 4 დღეში**, 20 ნოემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 15,663 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა სპორტული სტადიონის მოწყობისთვის. 2020-2021 წლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიისგან კომპანიამ 122 ათას ლარამდე ჯამური ღირებულების 6 კონტრაქტი მიიღო გამარტივებული შესყიდვის გზით. „მეგა დეველოპმენტს“ სხვა სახელმწიფო უწყებასთან გამარტივებული შესყიდვის გზით კონტრაქტი არ გაუფორმებია. ელექტრონულ ტენდერებში 6-ჯერ მიიღო მონაწილეობა. ტენდერები გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იყო გამოცხადებული. აქედან 3 ტენდერში გაიმარჯვა და ჯამურად 70 ათასი ლარის ხელშეკრულებები მიიღო.

შპს „მეგა დეველოპმენტის“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი გურამ კორინთელია. იგი ასევე ფლობს შპს „ლომისი 2011“-ის 50%-იან წილს. „ლომისი 2011“-ს 2014-2021 წლებში 18 ათას ლარამდე ჯამური ღირებულების 29 კონტრაქტი აქვს მიღებული გამარტივებული შესყიდვით გზით გორის მუნიციპალიტეტში შემავალი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან. შპს „ლომისი 2011“ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელია.

შპს „დი ჯი ელ“

შპს „დი ჯი ელ“ 2021 წლის 23 აგვისტოს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 6 დღეში**, 29 აგვისტოს შპს „მოსავლის მართვის კომპანიამ“ გამარტივებული შესყიდვის გზით 900,000 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა ყურძნის გადამუშავების მომსახურების გაწევისთვის. „დი ჯი ელს“ სხვა სახელმწიფო უწყებასთან გამარტივებული შესყიდვის გზით კონტრაქტი არ გაუფორმებია, ხოლო ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა არასდროს მიუღია.

შპს „დი ჯი ელის“ 100%-იანი წილის მფლობელი თამარ ალუღიშვილია. თამარ ალუღიშვილი კიდევ ფლობს 2 სხვა კომპანიას, რომლებსაც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა არასდროს მიუღიათ. შპს „მოსავლის მართვის კომპანიამ“ პირდაპირი შესყიდვით კონტრაქტი ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილების არმქონე კომპანიას გაუფორმა.

შპს „ჯეროჰამი“

შპს „ჯეროჰამი“ 2021 წლის 28 მაისს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 6 დღეში**, 3 ივნისს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 45,506 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა ქორწინების სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის. „ჯეროჰამს“ სხვა სახელმწიფო უწყებასთან გამარტივებული შესყიდვის გზით კონტრაქტი არ გაუფორმებია, ხოლო ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა არასდროს მიუღია.

შპს „ჯეროჰამის“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი ნუგზარ ჩიკვილაძეა, რომელიც ასევე ფლობს შპს „ფორვარდის“ 100%-იან წილს. **შპს „ფორვარდი“** 2020 წლის

28 ივლისს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 9 დღეში,** 6 აგვისტოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 25,514 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა გზის შეკეთების სამუშაოებისათვის. ამის შემდეგ „ფორვარდმა“ 50 ათასი ლარის ჯამური ღირებულების 3 კონტრაქტი მიიღო ჭიათურის მერიისგან გამარტივებული შესყიდვის გზით. სხვა სახელმწიფო უწყებისგან გამარტივებული შესყიდვით კონტრაქტი არ მიუღია, ხოლო ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა არასდროს მიუღია.

ნუგზარ ჩიკვილაძე ასევე ფლობს სხვა კომპანიებს, რომლებმაც 2020-2021 წლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიისგან გამარტივებული შესყიდვის გზით 310 ათასი ლარის კონტრაქტები მიიღეს. ნუგზარ ჩიკვილაძის კომპანიები კონტრაქტებს მხოლოდ ჭიათურის მუნიციპალიტეტისაგან იღებენ და მხოლოდ გამარტივებული შესყიდვის გზით.

შპს „ოკრიბა 21“

შპს „ოკრიბა“ 2021 წლის 27 ივლისს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 7 დღეში**, 3 აგვისტოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 23,132 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის. კომპანიას სხვა სახელმწიფო უწყებებთან გამარტივებული შესყიდვის გზით კონტრაქტი არ გაუფორმებია. 2021 წლის სექტემბერში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ორ ელექტრონულ ტენდერში მიიღო მონაწილეობა და ორივეში გაიმარჯვა. ელექტრონული ტენდერებიდან მან ჯამში 121 ათასი ლარის ჯამური ღირებულების ხელშეკრულებები მიიღო.

შპს „ოკრიბა 21“-ის 50-50%-იან წილს გიორგი ბაბუხადია და ტარიელ მოდებაძე ფლობენ. ტარიელ მოდებაძე ასევე ფლობს კომპანიებს შპს „როუდ გრავერ“ და შპს „საბა+“, რომლებსაც 2012-2015 წლებში გამარტივებული შესყიდვის გზით 35 ათასი ლარის კონტრაქტები აქვთ მიღებული, ძირითადად ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიისგან.

შპს „ზუკა მშენი“

შპს „ზუკა მშენი“ 2020 წლის 26 ივნისს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 7 დღეში**, 3 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 36,470 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა სოფელ არბოს საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოებისათვის. ამის შემდეგ „ზუკა მშენმა“ 253 ათასი ლარის ჯამური ღირებულების 9 კონტრაქტი მიიღო გორის მერიისგან გამარტივებული შესყიდვის გზით. სხვა სახელმწიფო უწყებისგან გამარტივებული შესყიდვით კონტრაქტი არ მიუღია. ელექტრონული ტენდერებში 8-ჯერ მიიღო მონაწილეობა და 6-ში გაიმარჯვა. 3 ტენდერი ისე მოიგო, რომ კონკურენტი არ ჰყოლია. მან ელექტრონული ტენდერებიდან გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებისაგან ჯამში 174 ათასი ლარი მიიღო.

შპს „ზუკა მშენის“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი გიორგი კარელიძეა. გიორგი კარელიძე მხოლოდ აღნიშნულ კომპანიას ფლობს. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვით კონტრაქტი ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილების არმქონე კომპანიას და მის მესაკუთრეს გაუფორმა.

შპს „გვარე“

შპს „გვარე“ 2020 წლის 8 ივნისს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 8 დღეში**, 16 ივნისს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 25,498 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა სტადიონის ღობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის. ამის შემდეგ „გვარემ“ 225 ათასი ლარის ჯამური ღირებულების 4 კონტრაქტი მიიღო ლაგოდეხის მერიისგან გამარტივებული შესყიდვის გზით. სხვა სახელმწიფო უწყებისგან გამარტივებული შესყიდვით კონტრაქტი არ მიუღია. ელექტრონულ ტენდერებში 5-ჯერ მიიღო მონაწილეობა. ყველა ტენდერი ლაგოდეხის მერიის მიერ იყო გამოცხადებული. 4 ტენდერში გაიმარჯვა, საიდანაც 2-ში კონკურენტი არ ჰყავდა, 2-ში კი გამარჯვებულად კონკურენტების დისკვალიფიკაციის შემდეგ გამოვლინდა. მან ელექტრონული ტენდერებიდან ჯამში 95 ათას ლარამდე მიიღო.

შპს „გვარეს“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი ლევან ჩუბინიძეა. ლევან ჩუბინიძე სხვა კომპანიასაც ფლობს, თუმცა ამ კომპანიას სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა არასდროს მიუღია.

შპს „გედგარი +“

შპს „გედგარი +“ 2021 წლის 27 აპრილს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 10 დღეში**, 7 მაისს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 30,180 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა საინჟინრო სამუშაოებისათვის. 2021 წლის 21 მაისს „გედგარი +“-მა 4,631 ლარის ღირებულების კონტრაქტი მიიღო ადიგენის მერიისგან გამარტივებული შესყიდვის გზით. სხვა სახელმწიფო უწყებისგან გამარტივებული შესყიდვით კონტრაქტი არ მიუღია. ელექტრონულ ტენდერებში 7-ჯერ მიიღო მონაწილეობა, საიდანაც დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ 2 ტენდერში გაიმარჯვა. მოგებულ ტენდერებში კონკურენტი არ ჰყავდა. ელექტრონული ტენდერებიდან მან ჯამში 3,700 ლარი მიიღო.

შპს „გედგარი +“-ის 100%-იანი წილის მფლობელი პეტრე კაკოიშვილია. პეტრე კაკოიშვილი სხვა კომპანიის წილს არ ფლობს. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ პირდაპირი შესყიდვით კონტრაქტი ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილების არმქონე კომპანიას და მის მესაკუთრეს გაუფორმა.

შპს „ჯამო“

შპს „ჯამო“ 2020 წლის 1 აგვისტოს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 10 დღეში**, 11 აგვისტოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 225,850 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა სარემონტო სამუშაოებისათვის. ამის შემდეგ „ჯამომ“ 63 ათასი ლარის ჯამური ღირებულების კიდევ 3 კონტრაქტი მიიღო ჭიათურის მერიისგან გამარტივებული შესყიდვის გზით. სხვა სახელმწიფო უწყებისგან გამარტივებული შესყიდვით კონტრაქტი არ მიუღია. ელექტრონულ ტენდერებში 9-ჯერ მიიღო მონაწილეობა, საიდანაც ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ 3 ტენდერში გაიმარჯვა. ელექტრონული ტენდერებიდან მან ჯამში 145 ათასი ლარი მიიღო.

შპს „ჯამოს“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი პეტრე ჯაოშვილია, რომელმაც 2021 წლის აგვისტოში კომპანია „ჯამოს“ სახელით „ქართულ ოცნებას“ 1,000 ლარი შესწირა. პეტრე ჯაოშვილი კიდევ ერთ კომპანიას ფლობს, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა არ მიუღია.

შპს „ევრობეტონი“

შპს „ევრობეტონი“ 2021 წლის 31 მაისს დაფუძნდა და **დაფუძნებიდან 10 დღეში**, 10 ივნისს კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული შესყიდვის გზით 21,291 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა გზების შეკეთების სამუშაოებისათვის. ამის შემდეგ „ევრობეტონმა“ 19,571 ლარის ღირებულების კიდევ ერთი კონტრაქტი მიიღო კასპის მერიისგან გამარტივებული შესყიდვის გზით. სხვა სახელმწიფო უწყებისგან გამარტივებული შესყიდვით კონტრაქტი არ მიუღია, ხოლო ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა არასდროს მიუღია.

შპს „ევრობეტონის“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი გიორგი გოგოლაურია. გიორგი გოგოლაური კიდევ რამდენიმე კომპანიას ფლობს, რომლებსაც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა არასდროს მიუღიათ.